ხელშეკრულება № 17

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

დუშეთი 3 ნოემბერი 2016 წ.

ერთის მხრივ, სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭართლის საჯარო სკოლის (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მზია მელიქიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,ARTSTAMP" (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის თამაზ ფანცულაიას სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია კარტრიჯის დამუხტვა ,ფოტობარაბანის შეცვლა spv 79800000 კოდით შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 62.00(სამოცდაორი)ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2. მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 2016 წლის 10 ნოემბრის ჩათვლით, ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ყოველი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) დღის ვადაში საკუთარი ხარჯით, შემსყიდველის მისამართზე (დუშეთის რაიონი სოფ .ჭართალი).

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

გ) ამ მუხლის 5.3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, ახალი და სათანადოდ შეფუთული, საქონელი.

გ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა ან შეკეთება შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

6.3. ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ორი - შემსყიდველთან.

მუხლი 12. ხელშეკრულებისმოქმედებისვადა

ხელშეკრულებაძალაშიამისიხელმოწერისდღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 ნოემბრამდე.

მუხლი 14. სხვაპირობები

14.1 არცერთმხარესარაქვსუფლებაგადასცესმესამეპირსთავისიუფლებებიდამოვალეობები, მეორემხარისწერილობითითანხმობისგარეშე.

14.2 მესამეპირთანურთიერთობაშიმხარეებიმოქმედებენთავიანთისახელით, თანხებითდარისკით.

14.3 მიმწოდებლისმიერწარმოდგენილისატენდეროწინადადებადადანართებითანერთვის ხელშეკრულებასდაწარმოადგენსმისგანუყოფელნაწილს.

მიმწოდებელი	შემსყიდველი
შ.პ.ს.,,არტსტამპი"	სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭართლის საჯარო სკოლა
მისამართი: ქ.თბილისი	მისამართი: დუშეთის რაიონი სოფელი ჭართალი
საიდენტიფიკაციო კოდი:401953560 საქართველოს ბანკი საბანკო კოდი:BAGAGE22 ანგ.GE46BG0000000886598800	ტელეფონი: 591886662 საიდენტიფიკაციო კოდი: №229322239 საბანკო რეკვიზიტები:სს,, ლიბერთი ბანკი დუშეთის ფილიალი საბანკო კოდი:LBRTGE22 ანგ.:№GE20LB0121131555559000
დირექტორი	დირექტორი
----------/თ.ფანცულაია/	----------/მ.მელიქიშვილი/

დანართი №1

ხელშეკრულების საგნის აღწერა

1. შესყიდვისობიექტიაშემდეგი დასახელების საქონელი:

№	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო
1	კარტრიჯის დამუხტვა	ცალი	1	18.00	36.00
2	ფოტობარაბანის შეცვლა	ცალი	2	22.00	44.00
				სულ ჯამი:	62.00

შპს.,,არტს ტამპი „ დირექტორი:

ჭართლის საჯარო სკოლის დირექტორი

თ.ფანცულაია

მ.მელიქიშვილი

მ ი ღ ე ბ ა -ჩ ა ბ ა რ ე ბ ი ს ა ქ ტ ი №37. 10.11.2016წ.

ჩვენ ,ქვემოთ ხელის მომწერნი ,ერთის მხრივ ,სოფელ ჭართლის საჯარო სკოლა ,წარმოდგენილი მისი დირექტორის მზია მელიქიშვილის სახით(შემდგომში ,,შემსყიდველი"),ხოლო მეორეს მხრივ მიმწოდებელი შპს,,არტ სტამპი"წარმოდგენილი მისი დირექტორის თამაზ ფანცულაიას სახით,(შემდგომში ,,მიმწოდებელი") ს|კ 401953560 მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად , 2016 წლის 3 ნომბერს მხარეებს შორის დადებული N 17 ხელშეკრულებით , ვადგენთ ამ აქტს მასზედ,რომ ჩატარებულია ამ ხელშეკრულების პირობით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა-კარტრიჯის დამუხტვა (ერთი-1ც),რომლის ღირებულება შეადგენს 18.00(თვრამეტი) ლარს და ფოტობარაბანის(ორი ცალი) შეცვლა,რომლის ღირებულება შეადგენს 44.00(ორმოცდაოთხი) ლარს.

აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელის მოწერით:

შემსყიდველი-ჭართლის საჯ.სკოლის დირექტორი:

მ.მელიქიშვილი

მიმწოდებელი-შპს,,არტ სტამპი" ს დირექტორი:

თ.ფანცულაია

ARTSTAMP

ი ნ ვ ო ი ს ი № 498

თარიღი: 26,10,16 წ

შემსრულებელი:		დამკვეთი:
შპს 'ARTSTAMP" ს/კ 401953560 თბილისი, წერეთლის გამზ. №142 ტელ: 234 02 06: 597 51 54 51 სს "საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი BAGAGE22 მიმღ: ა№ნ GE46BG0000000886598800		სოფელ ჭართლის საჯარო სკოლა ს/ნ 229322239 დუშეთის რაიონი სოფელი ჭართალი

№	დასახელება		რაოდ.	ერთ. ფასი	ჯამი
1	კარტრიჯის დამუხტვა		1	18,00	18,00
2	ფოტობარაბნის შეცვლა		2	22,00	44,00
	ჯამი:	(სამოცდაორი ლარი 00 თეთრი)			62.00

შპს 'ARTSTAMP" დირექტორი: /თ.ფანცულაია/